



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27213231

თარიღი:19/11/2021

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №76**

**19 ნოემბერი 2021 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 ივლისის №52 განკარგულებაში „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოწონებულ იქნეს „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე განსახილველად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ა) საქალაქთაშორისო დანიშნულების ავტოსადგურის და პარკინგის მოწყობა, თელავის, როგორც რეგიონის სატრანსპორტო ჰაბის განვითარებისთვის;
- ბ) ქ. თელავში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელის და საგზაო უსაფრთხოების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ურბანული ტერიტორიების განვითარებისთვის;
- გ) ქ. თელავში ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ საინფორმაციო დაფებზე QR კოდების განთავსება, ქალაქის კულტურული და საგანმანათლებლო როლის გაძლიერებისთვის;
- დ) ქ. თელავში არსებული ისტორიული მნიშვნელობის წყაროების რეაბილიტაცია, ქალაქის კულტურულ-ისტორიული არეალის განვითარებისთვის;
- ე) ცენტრალური თელავის ისტორიული დასახლების ურბანული განახლება;
- ვ) სამეფო აბანოების და მისი მიმდებარე ტერიტორიის აღდგენა-რეაბილიტაცია;
- ზ) ერეკლე მეორის სკვერის და საზარბაზნე ბურჯის რეაბილიტაცია ქ. თელავის მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული არეალის წარმოსაჩენად;
- თ) მეფის სასახლის და ციხე-გალავნის კომპლექსის შიდა ტერიტორიის ურბანული განახლება, თემატური ინსტალაციების მოწყობით;

ი) ქ. თელავის შემოსასვლელებში ისტორიული სატახტო ქალაქისთვის დამახასიათებელი თემატური ინსტალაციების მოწყობა ქალაქის, როგორც ისტორიულ-კულტურული ცენტრის წარმოსაჩენად;

კ) ქ. თელავში ურბანულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივი დანიშნულების სველი წერტილების მოწყობა;

ლ) ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა ურბანული ტერიტორიის ოპტიმიზაციის მიზნით და არსებულ ლოკაციაზე ახალი მიზიდულობის არეალის შექმნა;

მ) რეგიონული სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ქ. თელავში ქუჩების დამისამართება, სტანდარტიზაცია და საინფორმაციო დაფების მოწყობა;

ნ) საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე რეგიონული ჩოგბურთის კორტების მოდერნიზება ოთხივე სეზონზე ფუნქციონირებისთვის;

ო) ქ. თელავში რეგიონული მნიშვნელობის მრავალფუნქციური სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობა ინტეგრირებული აქტივობებისთვის;

პ) ქ. თელავში, პარკი „ნადიკვარის“ ტერიტორიაზე დასასვენებელი და გასართობი სივრცეების მოწყობა რეგიონული ფუნქციის გასაძლიერებლად;

ჟ) ქ. თელავში, ჩოხელის და ბახტრიონის ქუჩებს შორის არსებული ხევის მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლება მრავალფუნქციური რეკრეაციული სივრცეების მოწყობით;

რ) ქ. თელავში „მინიატურების პარკის“ მოწყობა რეგიონული მნიშვნელობის კულტურული მიზიდულობის არეალის შესაქმნელად;

ს) ქალაქ თელავის აღმოსავლეთ ნაწილის ურბანული განახლება „მშვიდობის პარკის“ მოწყობით;

ტ) საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური სპორტული მოედანის, რეკრეაციული სივრცეების და სხვა ინფრასტრუქტურის მოწყობა;

უ) საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციურ ობიექტებთან მისასვლელი გზის და პარკინგის მოწყობა;

ფ) საგანმანათლებლო მიზიდულობის არეალის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცურაო აუზის სრული რეაბილიტაცია“.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. №41).

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

